**მიღება 2016-2017 სასწ. წლის სამაგისტრო პროგრამაზე „ფარმაციის მენეჯმენტი“**

ხელ-ები თინა ტურძილაძე, პროფ.ო.ვასაძე

ფარმაციის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამაზე დაიშვებიან ფარმაციის, მედიცინის, ჯანდაცვის, ეკონომიკის, ბიზნესის, სოციოლოგიის და სხვა განათლების მოქნე პირები, რომელთაც წარმატებით გაიარეს ერთიანი სამაგისტრო გამოცდები.

პროგრამაზე მიღების პირობები:

სტუდენტებმა საქართველოს უნივერსიტეტში წარმატებით უნდა ჩააბარონ გამოცდები ინგლიუსურ ენაში /B2 დონე/ ( 51%) და გაიარონ გასაუბრება სპეციალობაში.
გასაუბრება მოიცავს საკითხებს ჯანდაცვის კანონმდებლობიდან:

1. საქართველოს კანონი "წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ"
2. საქართველოს კანონი ჯანმრთელობის დაცვის შესახებ ;
და
3. ზოგადი /ჯანდაცვის ქეისის გარჩევას

გასაუბრება გავლილია თუ აპლიკანტს აქვს აღნიშნული თემატიკის ძირითადი საკითხების შესახებ ცოდნა (მაქსიმუმ 40 ქულა)

აქვს ფაქტების დაკავშირებისა და ანალიზის უნარი (მაქსიმუმ 40),

მოტივაცია, მასზედ, თუ რატომ უნდა დაეუფლოს ფარმაციის მაგისტრის პროფესიას, რომელსაც წარმოადგენს წერილობით და ზეპირსიტყვიერად.
გააკეთებს პრეზენტაციას (მაქსიმუმ 20 ).

გასაუბრება გავლილია თუ აპლიკანტმა მიიღო 51 ქულა და მეტი შეფასება 100 ქულიდან.
შეფასების კრიტერიუმები:
100 ქულა - ფლობს საკითხს, არ აქვს ხარვეზები და უზუსტობანი,
75 ქულა - ფლობს საკითს, არ აქვს ხარვეზები და შეინიშნება არაარსებითი ხასიათის მცირე გადაცდომები,
50 ქულა- ნაწილობრივ ფლობს საკითხს, აქვს მცირე ხარვეზები, უშვებს არაარსებითი ხასიათის უზუსტობებს,
25 ქულა - სუსტად ფლობს საკითხს, აქვს მცირე ხარვეზები, უზუსტობანი,
0 ქულა - ვერ ფლობს საკითხს, ან აქვს არსებითი ხარვეზები და უზუსტობანი.

**ლიტერატურა:**
ვებ-გვერდები: www.moh.gov.ge; კანონმდებლობა